ასაკობრივი ფესტივალებისა და ტურნირების დებულება

1. მიზნები და ამოცანები

დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს რაგბის კავშირის (სრკ) ეგიდით ორგანიზებული ასაკობრივი ფესტივალებისა და ტურნირების ჩატარების წესებს.

ძირითადი მიზნები:

- ფესტივალებისა და ტურნირების (მათ შორის ადაპტირებული რაგბის) მაღალ დონეზე ორგანიზება;
- რაგბის პოპულარიზაცია და განვითარება საქართველოს მასშტაბით;
- ახალგაზრდებში რაგბის ძირითადი ღირებულებებისა და ეთიკის დანერგვა;
- მწვრთნელების, მსაჯებისა და მოთამაშეების პროფესიული დონის მუდმივი ამაღლება.

---

2. ასაკობრივი ფესტივალების და ტურნირების მართვა

- **ზედამხედველობა:** საქართველოს რაგბის კავშირი პასუხისმგებელია ღონისძიებების ორგანიზებასა და მონიტორინგზე.
- **პერსონალი:** სრკ უზრუნველყოფს ოფიციალური პირების დანიშვნას (ორგანიზატორები, მსაჯები, ექიმები, კომისრები, ფოტოგრაფები და სხვა).
- **აღსრულება:** სრკ-ს საფესტივალო ჯგუფი პასუხისმგებელია ფესტივალების ტურნირების უშუალო განხორციელებასა და რეგულაციების მკაცრ დაცვაზე.

---

3. მონაწილეობის პირობები

3.1. მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ **სრკ-ში რეგისტრირებულ** კლუბებს.

3.1.1 რეგისტრაცია შესაძლებელია, როგორც ფიზიკურად საბუთების წარმოდგენით, ასევე ელექტრონულად. კლუბის დასარეგისტრირებლად საჭირო საბუთებია:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- კლუბის წესდება
- საბანკო რეკვიზიტები

3.2. მონაწილეობის დადასტურება უნდა მოხდეს ფესტივალის კვირის **სამშაბათის ჩათვლით**.

3.3. კლუბი ვალდებულია მოთამაშეები დაარეგისტრიროს ელექტრონული ფორმით - საქართველოს რაგბის კავშირის სარეგისტრაციო პორტალის გამოყენებით

3.4. **სავალდებულო მონაცემები და დოკუმენტები (პორტალში ასატვირთად):**

- მორაგბის სახელი და გვარი
- მოთამაშის პირადი ნომერი
- დაბადების თარიღი
- მოქალაქეობა
- კანონიერი მეურვის სახელი და გვარი
- კანონიერი მეურვის სტატუსი მორგაბის მიმართ (მაგ. დედა/მამა ა.შ.)
- კანონიერი მეურვის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი
- მორაგბის ასაკობრივი კატეგორია
- სიმაღლე და წონა
- სათამაშო პოზიცია (სადაც არსებობს შესაბამისი შესავსები ველი)
- მოთამაშის ასაკის შესაბამისი ფოტოსურათი
- მშობლის/მეურვის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება: „ბავშვის სარაგბო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ“

3.5. **სამწვრთნელო კვალიფიკაცია:** გუნდს უნდა ხელმძღვანელობდეს მსოფლიო რაგბის შესაბამისი სამწვრთნელო სერთიფიკატის მქონე მწვრთნელი. წესის დარღვევა იწვევს გუნდის მოხსნას და 1-კვირიან დისკვალიფიკაციას.

3.6. **ტექნიკური ზონა:** დაშვებულია მაქსიმუმ 2 მწვრთნელი და 1 მოხალისე (ორგანიზატორთან შეთანხმებით).

3.7. **მონაცემთა სისწორე:** ფალსიფიცირებული მონაცემებით მოთამაშის გამოყვანის შემთხვევაში, მწვრთნელს მიეცემა **6-კვირიანი დისკვალიფიკაცია**.

---

4. მოთამაშეთა უსაფრთხოება და კეთილდღეობა

- **ტვინის შერყევის პროტოკოლი:** ტვინის შერყევაზე ეჭვის არსებობისას მოთამაშე დაუყოვნებლივ ტოვებს მოედანს. დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ ერთი კვირის თავზე

ექიმის წერილობითი ნებართვით. (წერილობითი ნებართვის გარეშე მოედანზე დაბრუნება დასაშვებია ტვინის შერყვაზე ეჭვის დაფიქსირებიდან 21 დღის გასვლის შემდეგ)

- **მაღალი ტემპერატურა:** ექსტრემალური სიცხის დროს ინიშნება დამატებითი წყლის შესვენებები (ჰიდრატაციისთვის).
- **სამედიცინო მხარდაჭერა:** სრკ უზრუნველყოფს კვალიფიციური ექიმის ან / და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის მორიგეობას.

---

5. თამაშის რეგულაციები და მსაჯობა

- სრკ იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები თამაშის წესების ვარიაციებში.(ცვლადი ელემენტები)
- წესებს ადგენს და აკონტროლებს სრკ-ს განვითარების დირექტორატი თავისი სტრუქტურული ერთეულებით.

---

6. დისციპლინა და სანქციები

- **მოთამაშეები:** მათ დარღვევებს განიხილავენ ფესტივალის ორგანიზატორები **სადისციპლინო კოდექსი საფესტივალო ასაკის გუნდებისთვის** მიხედვით.
- **სხვა პირები:** მწვრთნელების, მშობლების ან სხვა წარმომადგენლების დარღვევებს განიხილავს სრკ-ს სადისციპლინო სამსახური.
- ყველა გადაწყვეტილება მიიღება სრკ-ს მოქმედი სადისციპლინო რეგულაციის და მის დანართების მიხედვით.

---

7. საფესტივალო კომისრის მოვალეობები

მატჩამდე:

- გამოცხადება ღონისძიებამდე 1 საათით ადრე;
- მოედნის ინსპექტირება (საფარი, უსაფრთხოება, მონიშვნა);
- მსაჯებისა და მედპერსონალის მზადყოფნის შემოწმება;
- გუნდების შემოწმება მატჩამდე 15 წუთით ადრე.

მატჩის მიმდინარეობისას:

- განრიგის მკაცრი კონტროლი;
- ინვენტარის (ბურთები, ბოძები) და სათამაშო არეს ზედამხედველობა;
- წესრიგის დაცვა ტექნიკურ ზონასა და მოედნის პერიმეტრზე.

მატჩის შემდეგ:

- დარღვევების შესახებ ანგარიშის წარდგენა საფესტივალო ჯგუფისთვის;
- ინვენტარის შეგროვება და დაბინავება.

---

8. ფორსმაჟორი

სრკ იტოვებს უფლებას, ამინდის გაუარესების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოებების შემთხვევაში, შეცვალოს განრიგი ან გადადოს მატჩები.

---

9. წესები და რეგულაციები

კატეგორია	U8	U10	U12	U14
ბურთის ზომა	ზომა 3	ზომა 3	ზომა 4	ზომა 5
მოედნის ზომა	30მ x 20მ	40მ x 25მ	50მ x 45მ	90მ x 50მ (5მ წყვეტილებით)
შემადგენლობა	7 სრული (5 მოედანზე)	10 სრული (7 მოედანზე)	14 სრული (10 მოედანზე)	18 სრული (13 მოედანზე)
მატჩის ხანგრძლივობა	3 x 8 წთ (4 წთ ტაიმები)	3 x 10 წთ (5 წთ ტაიმები)	2 x 20 წთ (10 წთ ტაიმები)	2 x 24 წთ (12 წთ ტაიმები)
ბოჭვა	არა (თაჩი)	დიახ - წელს ქვემოთ	დიახ – წელს ქვემოთ	დიახ – წელს ქვემოთ
შერკინება	არა	არა	კი (5 კაციანი, თავისი ბურთით)	6 კაცი (მიწოლის გარეშე,)
დერეფანი	არა	არა	4+1 (აწევის გარეშე, ბრძოლით)	მინ. 2+1 (აწევის გარეშე, ბრძოლით)
მოლი	არა	არა	არა	არა
ფეხის დარტყმა	არა	მხოლოდ შეცურება	შეუზღუდავი	შეუზღუდავი
კონტაქტი	არა	აკრძალულია პირდაპირი კონტაქტი	აკრძალულია პირდაპირი კონტაქტი	აკრძალულია პირდაპირი კონტაქტი
შეცვლები	ულიმიტო (შედი/გამოდი)	ულიმიტო (შედი/გამოდი)	ულიმიტო (შედი/გამოდი)	ულიმიტო (შედი/გამოდი)
სათამაშო დრო	50% აუცილებელი ყველასთვის	50% აუცილებელი ყველასთვის	50% აუცილებელი ყველასთვის	50% აუცილებელი ყველასთვის
დისციპლინა	მხოლოდ დამშვიდება	მხოლოდ დამშვიდება	მხოლოდ დამშვიდება	ყვითელი (3 წთ), წითელი (გაგდება)
მსაჯები	მწვრთნელი/მოხალისე	მწვრთნელი/მოხალისე	მწვრთნელი/მოხალისე	მსაჯი/მოხალისე
რაქი	არა (პასი ხელის დადებაზე)	შეზღუდული (1x1)	შეზღუდული (1x1)	კი
ასაკობრივი გამონაკლისი	1 წლით პატარა (1 მოთამაშე)	✕ არა	✕ არა	✕ არა
ორმაგი რეგისტრაცია	✕ არა	✕ არა	✕ არა	✕ არა
საწყისი	ხელით გათამაშება	ხელით გათამაშება	არეკნი	არეკნი

ხელშეკრულება
ბავშვის სარაგბო აქტივობებში მონაწილეობის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია თქვენი ორგანიზაციის/კლუბის და ბავშვის კანონიერ მეურვეს შორის.

კლუბის სახელი (შემდგომში „კლუბი“) **:**
მშობლის/მეურვის სახელი, გვარი(შემდგომში „მშობელი“) :
მშობლის/მეურვის პ/ნომერი:
ბავშვის სახელი, გვარი: (შემდგომში „ბავშვი“):
ბავშვის პირადი ნომერი / დბ. თარიღი:

---

1. ზოგადი დებულებები

1.1. მშობელი თანახმაა, რომ ბავშვმა მიიღოს მონაწილეობა კლუბის მიერ ორგანიზებულ სარაგბო ვარჯიშებსა და თამაშებში.
1.2. მშობელი ადასტურებს, რომ სრულად არის ინფორმირებული რაგბის, როგორც კონტაქტური სპორტის სახეობის სპეციფიკის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ტრავმების გარკვეულ რისკთან.
1.3. მშობელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ კლუბი და მისი წარმომადგენლები (მწვრთნელები, პერსონალი) მიიღებენ ყველა გონივრულ ზომას ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, თუმცა, მიუხედავად ამისა, რაგბის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტრავმების რისკი მთლიანად არ აღმოიფხვრება.

დანართი #2

2. მშობლის პასუხისმგებლობა ჯანმრთელობაზე

2.1. მშობელი სრულად არის პასუხისმგებელი ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და ადასტურებს, რომ ბავშვი ფიზიკურად ჯანმრთელია და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სარაგბო აქტივობებში.ასევე მშობელი აცხადებს თანხმობას, რომ მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგენს შესაბამის სამედიცინო დოკუმენტაციას ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

2.2. მშობელი ვალდებულია, კლუბს მიაწოდოს სრული და ზუსტი ინფორმაცია ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ, მათ შორის არსებული სამედიცინო მდგომარეობის, ალერგიების, ქრონიკული დაავადებების ან სხვა შეზღუდვების შესახებ, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მის მონაწილეობაზე.
2.3.ხელშეკრულების მთელი პერიოდის განმავლობაში მშობელი თანახმაა, რომ უზრუნველყოს ბავშვის რეგულარული სამედიცინო შემოწმება და კონსულტაცია ექიმთან, რათა დადასტურდეს მისი მზადყოფნა სარაგბო აქტივობებისთვის.
2.4. საგანგებო სიტუაციის ან ტრავმის შემთხვევაში, როდესაც ბავშვს ესაჭიროება გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, მშობელი წინასწარ აცხადებს თანხმობას რომ ბავშვი მიყვანილ იქნას უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში და მას გაეწიოს გადაუდებელი მომსახურება კვალიფიციური ექიმების მიერ მათივე რეკომენდაციით. მშობლის ინფორმირება მოხდება დაუყოვნებლივ, შესაძლებლობის ფარგლებში. მშობელი იღებს ვალდებულებას, დაფაროს შესაბამისი სამედიცინო ხარჯები.
2.5. მშობელი ადასტურებს, რომ ბავშვი დაშვებულია სპორტზე კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მიერ და არ გააჩნია სამედიცინო უკუჩვენებები რაგბის სათამაშოდ. მოთხოვნის შემთხვევაში, მშობელი წარმოადგენს შესაბამის სამედიცინო დოკუმენტაციას

---

3. რისკების მიღება და პასუხისმგებლობის შეზღუდვა

3.1. მშობელი ადასტურებს, რომ სრულად აცნობიერებს და იღებს რაგბის, როგორც კონტაქტური სპორტის სახეობის თანმდევ რისკებსა და შესაძლო ტრავმებს.
3.2. მშობელი ათავისუფლებს კლუბს, მის თანამშრომლებს, მწვრთნელებს და წარმომადგენლებს ყველა სახის პასუხისმგებლობისგან ნებისმიერი დაზიანების, ტრავმის, ქონებრივი ზიანის ან სხვა დანაკარგის გამო, რომელიც შეიძლება მოხდეს ბავშვის სარაგბო აქტივობებში მონაწილეობის დროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზიანი გამოწვეულია კლუბის ან მისი წარმომადგენლების უხეში დაუდევრობით

---

4. სხვა დებულებები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ბავშვის კლუბში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

4.2. ნებისმიერი ცვლილება ან დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით და დამოწმდეს ორივე მხარის მიერ.
4.3. მხარეებს შორის წარმოშობილი დავები გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერები:

კლუბის წარმომადგენელი: **მშობელი:**